ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №878583

ნომერი: AR1156839

თარიღი : 22.08.2013

გაცემის თარიღი : 03.09.2013

გაცნობის თარიღი : 03.09.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N6-სა და N8-ს შორის / ქალაქი თბილისი , ბროსე , ჩიხი 8ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ცოფურაშვილი პ/ნ 01024062927
- თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 5 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური საცხოვრებელი ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა მელიქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ltd. Architex
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2049011202

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა

და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N34, 27.08.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ბროსეს ქ. N6–სა და N8–ს შორის/ბროსეს ჩიხი N8ა–ში მრავალფუნქციური შენობის ესკიზისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათალისწინებით: "შემცირდეს შენობის სიმაღლე.".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს დასკვნა და გადაწყვიტა, რომ განმცხადებელს, მოქ. თ. ცოფურაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. თ. ცოფურაშვილს, ქ. თბილისში, ბროსეს ქ. N6–სა და N8–ს შორის/ბროსეს ჩიხი N8ა–ში მრავალფუნქციური შენობის ესკიზის შეთანხმებისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.